მცხეთის მიდამოების ტყეების ეკოლოგიურ-სამეურნეო მდგომარეობის შეფასება და დაცვა-აღდგენის შესაძლო ღონისძიებები (მცხეთის სატყეოს ფარგლებში)

დავით თხელიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და საინჟინრო ფაკულტეტზე ბუნებათსარგებლობის (MSC) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ნუგზარ ზაზანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2015

შინაარსი

აბსტრაქტი 3

1. შესავალი 4

1.1. კვლევის სიახლე, მიზნები, ამოცანები და მეთოდები 5

1.2. სამეცნიერო ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა 6

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული დახასიათება 8

2.1. ჰავა 10

2.2. რელიეფი და ნიადაგები 12

2.3. ჰიდროგრაფია 15

2.4. ტყის ტიპები 15

3. კვლევის შედეგები 16

3.1. GIS ანალიზი 16

3.2. სატყეო სანიმუშო ფართობები 24

4. დასკვნები და რეკომენდაციები 50

მადლობა 52

გამოყენებული ლიტერატურა 53

აბსტრაქტი

ნაშრომი ეძღვნება საქართველოსათვის მეტად მნიშვნელოვან და საჭირბოროტო საკითხს: ტყეების მენეჯმენტსა და დაცვას. ობიექტად შერჩეულ იქნა თბილისის მიდამოების ტყეები, კერძოდ კი მცხეთის სატყეო (მისი ნაწილი), სადაც მაგისტრანტი წლების განმავლობაში მუშაობდა და, ამდენად, ახლოს იცნობს როგორც აქაური ტყეების განაწილებას, ასევე აქ არსებულ პრობლემებს. კვლევის მთავარ მიზანს წარმოადგენდა კონსერვაციისთვის ღირებული ტერიტორიების დადგენა; ასევე - ტყეების ზოგადი ეკოლოგიურ-სამეურნეო მდგომარეობის გამოკვლევა. GIS ანალიზისა და საველე სამუშაოების მეშვეობით, გამოვლინდა ტერიტორიები, სადაც საჭიროა გარკვეული ტიპის ტყის ფიტოცენოზების კონსერვაცია (ღვიიანების); გარდა ამისა დადგინდა დომინანტი ფორმაციის (რცხილნარ-მუხნარების) არასახარბიელო ეკოლოგიურ-სამეურნეო მდგომარეობა. შემუშავდა ზოგიერთი შესაბამისი რეკომენდაცია.